

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტერი ლევისის სიტყვა

წარმოთქმული ევროპის სასახლის წინ კამპანიის - “ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” წამოწყებასთან დაკავშირებით

ქალბატონებო და ბატონებო,

მეგობრებო,

“Allons enfants de la batterie”- ის გამოძახილმა გამოგვიყვანა სახლებიდან, სკოლებიდან, ოფისებიდან და შეხვედრების ოთახებიდან, რათა აგვეღნიშნა ახალი ახალგაზრდული ევროპული კამპანიის - “ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” წამოწყება.

ორი წლის წინ, გენერალური მდივნის პოსტზე მოსახვედრად გამართული კამპანიის დროს ხალხს დაეპირა, რომ მოვახდენდი ევროპის საბჭოს მობილიზებას შეუწყვეტელი ბრძოლისათვის რასიზმის, ანტი-სემიტიზმისა და ისლამოფობიის წინააღმდეგ. 1995 წლის კამპანია - “ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” ჩემთვის მაგალითად და შთაბეჭებითელ წყაროდ იქცა.

მე დღეს კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი საარჩევნო დანაპირები ხდება რეალობა და ვიწყებთ მეორე ევროპულ ახალგაზრდულ კამპანიას. ეს ახალი კამპანია არ არის უბრალო განმეორება პირველისა, არამედ იგი იზიარებს იმავე ფილოსოფიას და რა თქმა უნდა იგივე სლოგანს.

ათი წლის წინ, ახალგაზრდულმა კამპანიამ ამხილა დისკრიმინაცია დაფუძნებული კანის ფერსა და ეთნიკურ წარმომავლობაზე. ამ ახალ კამპანიას ექნება უფრო ფართო ხედვა. იგი გამომხდელი იქნება არა მარტო რასობრივ და ეთნიკური შეუწყნარებლობის არამედ რწმენის, სექსუალური ორიენტაციისა და ფსიქიური ან გონებრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. აღიშნული მიდგომა არ ნიშნავს იმას, რომ რასიზმი აღარ წარმოადგენს პრობლემას, არამედ პირიქით, როგორც რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ანგარიშებიდან არის ცნობილი - რასიზმი ევროპული საზოგადოებიდან არ გამქრალა.

ახალი კამპანიით, სურვილი გვაქვს დავგმოთ ყველა სახის დისკრიმინაცია და თვით მისი შეუმჩნეველი ფორმებიც კი, რომლებიც ამცირებს იმ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელნიც რაღაც ფორმით არიან განსხვავებულნი. 1995 წლის კამპანიისაგან განსხვავებით ახალი კამპანია არ არის “წინააღმდეგი” არამედ მხარს უჭერს იმ აზრს, რომ შეკრიბოს ჩვენი ძირეული ღირებულებები - მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები და მონაწილეობა, რომელიც ახლოს არიან ევროპულ ხალხთან. ეს სამი უბრალო სიტყვა არის სამი მარტივი მესიჯის მაგარებელი:

მრავალფეროვნება არ არის უბრალო რამ, არამედ არის ის, რაც ცხოვრებას ქმნის ამაღელვებელს და გამომწვევს.

ადამიანის უფლებები არ არის თანდაყოლილი - იგი შეიძინება სკლებში სწავლითა და ახალგაზრდული ღონისძიებების საშუალებით.

დემოკრატია არ იცოცხლებს თუ ახალგაზრდა თაობა მოერიდება საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ახალგაზრდული კამპანია, გაამხმევეებს ახალგაზრდებს რათა გადადგან ნაბიჯი ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ - იმოქმედონ თავიანთ ქალაქებში, თავიანთი ორგანიზაციების მეშვეობითა და ინტერნეტის გზით.

არ უნდა დაგვაფიწყდეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. იმის მიუხედავად, რომ ამ ღირებულებების ასახვა მნიშვნელოვანია იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო კონვენციებში, ეს პრინციპები, დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუძლებს თუ ადამიანებს ისინი შინაგანად აქვთ გათავისებული. თუ ჩვენ ჩავუვლით გვერდს სკინჰელების მიერ მუქი კანის ფერის გამო ვიდაცის ცემის ფაქტს, თუ ჩვენ არ დავგმობთ ჰომოფობიურ გამოძახილს, თუ არ მოვახდენთ რეაგირებას მაშინ, როცა ინვალიდის სავარძელში მყოფი პიროვნება უარყოფილია სამუშაოზე მისაღებად, ე.წ. “შემძლე” კანდიდატურის სასარგებლოდ, ჩვენ ვღალატობთ პატივისცემის ღირებულებას, და ამგვარ სიგუაციაში სულ ცოცა ნაბიჯი რჩება უპატივცემულობიდან და დისკრიმინაციიდან ძალადობისაკენ.

მეორე ახალგაზრდული კამპანია გამოხატავს ადამიანის უფლებებზე ფიქრს, რომელიც თავმოყრილია ადამიანის უფლებების კონვენციის მე-12 პროტოკოლში და იცავს იმ ფუნდამენტალურ პრინციპებს, როდესაც უფლებებით სიამოვნება უნდა იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვეძლო მისთვის გვეწოდებია “მე-12 პროტოკოლის” კამპანია, მაგრამ ვიგძნით, რომ სახელწოდებას “ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი”, ჰქონდა განსაკუთრებული რეზონანსი და მნიშვნელობა. პრინციპში, აღნიშნული სახელწოდება შეიძლება იყოს ევროპის საბჭოს სლოგანი. ისეთ ღირებულებებზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში, როგორც ევროპის საბჭოა, სახელმწიფოები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სიდიდით, პოლიტიკური სტრუქტურითა და კულტურული წარმომავლობით, განიხილავენ და გადაწყვეტენ საკითხებს თუ როგორ განავითარონ ევროპული ერთიანობა.

აღნიშნული კამპანია წარმოდგენილი და გატარებულია ახალგაზრდა ხალხის მიერ, რომლის მიზნებიც ისეთივე ამბიციურია, როგორც თვით ახალგაზრდობა. მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველას, რომლის თავდადება და მძიმე მუშაობამ შეძლო ყოველივე ამის მიღწევა: კოლეგებს ახალგაზრდული და სპორტული ღირებულებებისაგან, ახალგაზრდული სექტორის ყველა პარტნიორს და განსაკუთრებით ევროპულ ახალგაზრდულ ფორუმსა და ევროპის კომისიას.

ამ სარისკო წამოწყებაში ახალგაზრდული ორგანიზაციები და კავშირები ითამაშებენ გადამწყვეტ როლს, ვინაიდან სწორედ ისინი არიან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი იმ საწყის ეტაპზე როდესაც კამპანია იხვეჭს სახელს. მადლობას ვუხდით მათ ინიციატივისადმი ძლიერი თავდადებისათვის და მოვუწოდებ, რომ შეინარჩუნონ კავშირი კამპანიასთან აქ. სტრასბურგში. ვიმედოვნებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დაამყარებენ მყარ კავშირებს პარლამენტის წევრებთან, ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებასთან, რომელთაც შესწევთ ძალა გააძლიერონ კამპანიის მესიჯი და გახადონ იგი რეალობად.

და ბოლოს, ყველას მოგიწოდებთ ჩაერთოთ და ააფრიალოთ კამპანიის ბანერი რათა მოახდინოთ ცვლილება და თქვენი რწმენით, ყოფით და საქციელთ ხვალ ევროპა გახდება სინონიმი მხიარული მრავალფეროვნებისა. შეიძლება მრავალფეროვნება იყოს არეული და ხმაურიანი, მაგრამ ის ატარებს ცხოვრების მარცვალს.